პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585
1974/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 11 (406)

1974 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 11 (406) ნოემბერი 1974 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

203. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

204. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

206. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

207. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

208. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „შრომის ვეტერანის“ მედლით რესპუბლიკის მშრომელთა დაჯილდოების შესახებ.

209. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებულ წინადადებათა განხილვის მდგომარეობის შესახებ.

210. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 30 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

211. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობისათვის ქ. ტყიბულის, ახალციხისა და ლენტეხის რაიონების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ.
213. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის უძველესი საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოების შესახებ.
214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საპატიო წოდების „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა" და „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" მინიჭების შესახებ.
215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ბარისაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ფ. ბობოხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ვ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ი. ლოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალების „მნათობის", „საქართველოს ქალისა" და „დროშის" მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 203 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებად არჩეულ იქნენ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, მორალურად მტკიცე მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით და თავიანთი საქმიანი და პოლიტიკური თვისებებით შეუძლიათ სწორად გადაჭრან სოციალისტური მართლმსაჯულების წინაშე მდგარი ამოცანები;

გ) სათანადო ორგანიზაცია გაუკეთონ სასამართლოების სახალხო მსაჯულთა ასარჩევად მშრომელთა საერთო კრებებს, რომლებიც მოეწყობა საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო ქვეგანყოფილებებსა და დასახლებულ პუნქტებში. არჩევნებში მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით კრებები ჩატარდეს საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ცვლების, საამქროების, განყოფილებებისა და ბრიგადების მიხედვით;

დ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საშუალებით გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ;

ე) ადგილობრივი პრესის და რადიოს მეშვეობით ფართოდ გააშუქონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მიმდინარეობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ორგანიზაციის საქმეში.

3. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შედეგები არჩევნების დამთავრებისთანავე დეპეშით აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო შევსებული სტატისტიკური ანგარიში, თანდართული ფორმის მიხედვით, გამოგზავნონ 1975 წლის 5 იანვრამდე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 1 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 204 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1974 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1974 წლის დეკემბერში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

2. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არჩეული არიან 1972 წლის ნოემბერში გაუგრძელდეთ რწმუნება მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 1 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 205 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1974 წლის 26 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 25 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 206 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„შრომითი დავის განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1973 წ., № 11, მუხ. 202), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 195-ე, 203-ე და 213-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 195. შრომითი დავის განხილვის წესი.**

შრომითი დავის კომისიების, პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისა და ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ შრომითი დავის განხილვის წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული შრომითი დავის განხილვის წესის დებულებით და ამ კოდექსით, ხოლო რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში, გარდა აღნიშნულისა, აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით“.

**„მუხლი 203. შრომითი დავის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში**

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები შრომით დავას განიხილავენ:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას;

2) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განცხადებით, — როცა მას მიაჩნია, რომ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

3) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფკავშირული ორგანიზატორის და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან შემდგარი შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას, ან როცა ამ კომისიაში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას;

4) პროკურორის განცხადებით, — როცა მას მიაჩნია, რომ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ან პროფკავშირული ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან შემდგარი შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

გარდა ამისა, უშუალოდ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში შრომითი დავის განმხილველი კომისიისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებისათვის მიუმართავად, შრომითს დავას განიხილავენ:

1) იმ მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ განცხადებით, რომლებიც დათხოვნილი არიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით, აგრეთვე განცხადებით მათი დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის შესახებ, გარდა იმ მუშაკთა დავისა, რომელთა თანამდებობანი გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნუსხით (ამ კოდექსის 213-ე მუხლი);

2) იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების განცხადებით, სადაც არ არის პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზატორები, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში შრომითი ხელშეკრულებებით მომუშავე პირთა განცხადებით;

3) ადმინისტრაციის განცხადებით საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ;

უშუალოდ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში განიხილავენ აგრეთვე მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შრომითს დავას შრომის კანონმდებლობის გამოყენების ისეთ საკითხზე, რომელიც ამ მუშაკის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წინასწარ გადაწყვიტა ადმინისტრაციამ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით მათთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მუხლი 213. შრომითი დავის განხილვა ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ**

ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების მიერ შრომითი დავა განიხილება:

1) იმ მუშაკთა განცხადებით დათხოვნის, დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე, რომლებსაც დაკავებული აქვთ შრომითი დავის განხილვის წესის დებულების № 1 დანართის № 2 ნუსხაში ჩამოთვლილი თანამდებობანი;

2) იმ მუშაკთა განცხადებით დათხოვნის, დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე, რომლებსაც დაკავებული აქვთ შრომითი დავის განხილვის წესის დებულების № 1 დანართის № 2 ნუსხაში ჩამოთვლილი თანამდებობანი, თუ ისინი დაითხოვეს იმის გამო, რომ დადგენილი წესით შეუფერებლად ცნეს დაკავებული თანამდებობისათვის ან არ აირჩიეს ახალი ვადით;

3) იმ მუშაკთა განცხადებით დისციპლინური სასჯელის დადების გამო, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა დისციპლინური წესდებით;

4) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა განცხადებით პრემიების საკითხების გამო, რომლებსაც მოქმედი დებულებების თანახმად მათთვის მისაცემად ამტკიცებენ ზემდგომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები“.

2. კოდექსს დაემატოს $214^1$ მუხლი შემდეგ შინაარსისა:

**„მუხლი $214^1$. ფულადი მოთხოვნების დაკმაყოფილება**

ფულადი მოთხოვნების საკითხებზე შრომითი დავის განხილვისას გარდა მოთხოვნისა იმის შესახებ, რომ გადაუხადონ მუშაკს საშუალო ხელფასი იძულებით გაცდენილი დროისათვის ან ხელფასის სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის (ამ კოდექსის 207-ე და 214-ე მუხლები) ორგანოს, რომელიც განიხილავს დავას, უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გადაუხადონ მუშაკს თანხა, რომელიც მას ერგება, მხოლოდ არა უმეტეს ერთი წლისათვის, ხოლო დათხოვნისას გამოუყენებელი შვებულებისათვის ფულადი კომპენსაციის საკითხებზე — არა უმეტეს ორი სამუშაო წლისათვის (უკიდურეს ჩრდილოეთსა და მასთან გათანაბრებულ ადგილებში — არაუმეტეს სამი სამუშაო წლისა).“

3. 197-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„იმ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც პროფკავშირთა, საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს მინიჭებული აქვთ პროფესიული კავშირის რაიონული კომიტეტის უფლებები საამქროებსა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებში შეიძლება შეიქმნას საამქროების შრომითი დავის კომისიები; ისინი იქმნებიან პროფკავშირის ამ კომიტეტისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 198-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვა „მიღების" შეიცვალოს სიტყვით „შეტანის".

5. 201-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფესიული კავშირის რაიონული კომიტეტის უფლებები, შეუძლია პროფესიული კავშირის საამქროების კომიტეტებს გადასცეს შრომითი დავის განხილვის უფლება შრომითი დავის განხილვის წესის დებულების შესაბამისად".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 207 საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 36, მუხ. 564; 1965 წ. № 25, მუხ. 509) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-6 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში, მე-6ა მუხლის „დ" პუნქტში, მე-9 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებში, მე-13 მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებში, 25-ე მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილებში, 28-ე მუხლის „ო" პუნქტში, 34-ე მუხლში, 35-ე მუხლის მესამე ნაწილში, 45ა მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია", „მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კომისიაში", „მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას", „მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის" და „იურიდიული კომისიის" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „იუსტიციის სამინისტრო", „იუსტიციის სამინისტროში", „იუსტიციის სამინისტროს".

2. მე-16 მუხლის „გ" პუნქტში სიტყვას „ექსპერტი" შემდეგ დაემატოს სიტყვა „სპეციალისტი".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 208 „შრომის ვეტერანის“ მედლით რესპუბლიკის მშრომელთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად დაწესებული „შრომის ვეტერანის“ მედლით დასაჯილდოებლად მშრომელთა შერჩევის, ჯილდოზე წარდგენისა და ჯილდოს ჩაბარების საქმის უკეთ ორგანიზაციის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გაშალონ სათანადო მოსამზადებელი მუშაობა „შრომის ვეტერანის“ მედლით რესპუბლიკის მშრომელთა დასაჯილდოებლად.

„შრომის ვეტერანის“ მედლის დაწესების შესახებ საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების, დებულებისა და ინსტრუქციის გასაცნობად წარმოება-დაწესებულებებში ჩაატარონ მოხსენებები, საუბრები, ახსნა-განმარტებანი. ამასთან, საუბრებში ხაზი გაუსვან ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას იმ მშრომელების მიმართ, რომლებიც მრავალი წლის კეთილსინდისიერი შრომის შემდეგ, საპენსიო ასაკთან დაკავშირებით, გადიან დამსახურებულ დასვენებაზე;

ბ) უზრუნველყონ საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ „შრომის ვეტერანის“ მედლით დასაჯილდოებელი მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეთა შერჩევა საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულების სრული შესაბამისობით;

დასაჯილდოებელი კანდიდატურების შერჩევას საფუძვლად უნდა დაედოს მუშის, კოლმეურნის და მოსამსახურის მრავალი წლის კეთილსინდისიერი შრომა სახალხო მეურნეობაში, მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

დაჯილდოების მასალების გაგზავნას რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასკომებში წინ უნდა უძღოდეს ადმინისტრაციის, პარტორგანიზაციისა და პროფორგანიზაციის გაერთიანებულ სხდომებზე მათი საფუძვლიანი განხილვა;

გ) მიიღონ ზომები, რათა წარმოება-დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების მიერ წარმოდგენილი დაჯილდოების მასალები დროულად განიხილონ აღმასკომის სხდომებზე და დადგენილი ფორმების შესაბამისად წარუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

დ) სათანადო ყურადღება მიაქციონ „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოებულთათვის ჯილდოს ჩაბარების საქმეს. მედლის გადაცემა მოაწყონ საზეიმო ვითარებაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე იმ შრომით კოლექტივებში, სადაც ისინი მუშაობდნენ პენსიაზე გასვლამდე.

ჯილდოების ჩაბარება უზრუნველყონ წარმოების დირექტორების, რაიონის, ქალაქის, ოლქის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ;

ე) „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოების შესახებ დებულების შესაბამისად ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაწესებული ფორმა № 2-ის მიხედვით ყოველი კვარტალის დამლევს, არაუგვიანეს მომდევნო თვის ხუთი რიცხვისა.

2. რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ „შრომის ვეტერანის" მედლით მუშა-მოსამსახურეთა დაჯილდოება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 209 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებულ წინადადებათა განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია „საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებულ წინადადებათა განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ" მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროულად განიხილეს დეპუტატთა მიერ სესიაზე შემოტანილი წინადადებანი და მიღებული ზომების შესახებ აცნობეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა კოლეგიების, კომიტეტებისა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ საკითხი დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებების განხილვისა და განხორციელების მდგომარეობის შესახებ; გააძლიერონ კონტროლი მათი დროული განხილვა-შესრულებისადმი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 210 „მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 30 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საკითხი „მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის მდგომარეობის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 30 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე აღნიშნავს, რომ ამ დადგენილებისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტურობის ამაღლების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 24 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისა და მათი სოციალისტური კანონიერების დარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე უფრო ხშირად იხილავენ მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებს, რომლის მომზადებასა და დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში ფართოდაა ჩაბმული დეპუტატები, აქტივი, ადმინისტრაციულ ორგანოთა და იურიდიული სამსახურის მუშაკები.

ინერგება იურიდიული ცოდნის პროპაგანდის ახალი ფორმები და მეთოდები, მეტი ყურადღება ეთმობა სამართლებრივი აღზრდის ეფექტურობას. გაფართოვდა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნა“-ს პირველადი ორგანიზაციების ქსელი. ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები უფრო ხშირად გამოდიან მოსახლეობის წინაშე ანგარიშებითა და მოხსენებებით ჩატარებული მუშაობის შესახებ, აქტიურად აბამენ საზოგადოებრიობას სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში. გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელეგადაცემები სისტემატურად აშუქებენ დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და მოსახლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთან ერთად, მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის დონე ჯერ კიდევ სრულად ვერ პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებსაც აყენებენ სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებები რესპუბლიკაში კანონიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სამართლებრივი პროპაგანდის ღონისძიებათა რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად იგი ყოველთვის არ არის მიზანდასახული და ეფექტური.

ხშირ შემთხვევაში ლექცია-მოხსენებები, კონფერენციები და მიზნობრივი შეხვედრები ზოგად თემებს ეძღვნება, გათვალისწინებული არ არის რაიონსა თუ კოლექტივში არსებული ფაქტიური მდგომარეობა, მართლწესრიგისა თუ შრომითი დისციპლინის დამახასიათებელი დარღვევები და სხვა. ამასთან ასეთ ღონისძიებებს იშვიათად ესწრებიან ის პირნი, რომლებიც ადრე შემჩნეული იყვნენ დანაშაულებრივ ქმედობაში და მიდრეკილება აქვთ საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესრიგის დარღვევებისაკენ. ამიტომაა, რომ სამართლებრივი პროპაგანდა ყოველთვის სათანადო პრაქტიკულ ეფექტს არ იძლევა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საზოგადოება „ცოდნა“ მასობრივ პროპაგანდისტულ ღონისძიებათა უმრავლესობას ატარებენ რაიონულ ცენტრებში და ძალიან იშვიათად რაიონების ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებსა და ორგანიზაციებში. ასე მაგალითად, იუსტიციის სამინისტროსა და საზოგადოება „ცოდნას“-ს ლექცია-მოხსენებები არ ჩაუტარებიათ რესპუბლიკის 22 რაიონში (მაიაკოვსკის, მესტიის, სიღნაღის, ლენტეხის, ხობის, საჩხერის და სხვა რაიონები).

რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები, რადიო და ტელეგადაცემები ზოგჯერ მხოლოდ მომხდარი დანაშაულის აღწერით იფარგლებიან და არ აანალიზებენ თუ რამ განაპირობა დანაშაულის ჩადენა ან როგორ შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება.

მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში სუსტადაა გამოყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაძლებლობანი. კულტურის სახლებში, კლუბებსა და მასობრივ ბიბლიოთეკებში მცირეა აგიტაციის თვალსაჩინო საშუალებანი და პოპულარული იურიდიული ლიტერატურა.

სამართლებრივ საკითხებზე გამოშვებული მასობრივი, პოპულარული და საცნობარო ლიტერატურის თემატიკა და ტირაჟი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. სისტემატურად არ სრულდება ასეთი ლიტერატურის გამოცემის გეგმები, ასე მაგალითად, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1972 წელს დაგეგმილი 18 წიგნისა და ბროშურიდან გამოუშვა მხოლოდ 10, 1973 წელს 20-დან 16 და 1974 წელს კი (10 თვის მდგომარეობით) 21-დან — 9.

რესპუბლიკის ყველა რაიონში არაა შექმნილი სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები, ზოგან კი მათი საქმიანობა არ შეესაბამება სანიმუშო პროგრამებს.

რიგი ქალაქისა და რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები სუსტად მონაწილეობენ სამართლებრივ პროპაგანდაში. მაგალითად, მიმდინარე წელს მაიაკოვსკისა და წალენჯიხის რაიონებში პროკურატურის მუშაკებს არც ერთი ლექცია არ ჩაუტარებიათ. აქტიურობას არ იჩენენ აგრეთვე ქალაქების ფოთისა და ზუგდიდის, ცხაკაიას, ხაშურის, სამტრედიის, ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიონების სახალხო მოსამართლეებიც.

ნაკლოვანებებია ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლების და აღზრდის საქმეში. რესპუბლიკის 1.588 საშუალო სკოლიდან საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების სწავლება დღეისათვის შემოღებულია მხოლოდ 520 სკოლაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო სათანადო მეთოდური ხელმძღვანელობის გაწევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობისადმი მათ მიერ მოსახლეობაში საბჭოთა კანონმდებლობის განმარტებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისათვის. დღემდე არაა შემუშავებული სამართლებრივი პროპაგანდის დაგეგმვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანიზაციის ზუსტი სისტემა; სუსტად წარმოებს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის პრობლემების მეცნიერული დამუშავება.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება მოსახლეობაში სამართლებრივ პროპაგანდას, ამ საქმეში ნაკლებად იზიდავს საბჭოების მუდმივ და აღმასკომებთან არსებულ კომისიებს, დეპუტატებს, ინტელიგენციას, საბჭოთა აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა შესასრულებლად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) რეგულარულად შეისწავლონ მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდისა და მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტების მდგომარეობის საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ მიმართულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას;

ბ) სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობის განმარტების საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების მუდმივი და რაიაღმასკომებთან არსებული შესაბამისი კომისიები, დეპუტატები, იურიდიული სამსახურის მუშაკები, აქტივი;

გ) უკეთ მოაწყონ აღმასრულებელი კომიტეტების მუშაკებისა და საბჭოთა აქტივის სამართლებრივი სწავლება, სისტემატურად გააცნონ მათ ახალი საკანონმდებლო აქტები.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ გადაჭრით გააუმჯობესოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის ხაზით, შეიმუშაოს და დანერგოს ამ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების ქმედითი სისტემა.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, უმაღლესმა სასამართლომ გააქტიურონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მონაწილეობა სამართლებრივ პროპაგანდაში, უზრუნველყონ მათი გამოსვლები მოსახლეობის წინაშე ანგარიშებითა და მოხსენებებით ჩატარებული მუშაობის შესახებ და აგრეთვე კანონმდებლობის ცალკეულ საკითხებზე.

5. საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გააფართოონ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო დაწესებულებებში საბჭოთა კანონმდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის საფუძვლების სწავლება, მიიღონ საჭირო ზომები სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის; მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საგნის სწავლებისათვის პედაგოგიური კადრების შერჩევასა და მომზადებას.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ სამართლებრივი ცოდნის უფრო ფართო პროპაგანდა, თემატური ლექცია-საუბრების ჩატარება, სამართლებრივ თემებზე გამოფენებისა და სტენდების მოწყობა და იურიდიული ლიტერატურით საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტება.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა ქმედითი ზომები მიიღოს გეგმით გათვალისწინებული იურიდიული ლიტერატურის გამოსაცემად; იურიდიულ ლიტერატურაზე მოთხოვნილების შესწავლით, გათვალისწინებით დააწესოს ტირაჟი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პოპულარული ხასიათის იურიდიული ლიტერატურის გამოცემას სერიიდან — „იურიდიული ცოდნა — მასებს".

8. რეკომენდაცია მიეცეს რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნა"-ს გამგეობას გააუმჯობესოს სალექციო მუშაობა, გააფართოოს იურიდიული ხასიათის ლექციების თემატიკა, განსაკუთრებით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე, სახელმწიფო, შრომითი და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატური ყურადღება დაუთმონ სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებს, უფრო ფართოდ გააშუქონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, აგრეთვე საწარმოო კოლექტივების დადებითი გამოცდილება სამართლებრივი პროპაგანდის უკეთ ორგანიზაციის დარგში.

10. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1975 წლის ივნისის ბოლოს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

211 **დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობისათვის ქ. ტყიბულის, ახალციხისა და ლენტეხის რაიონების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქ. ტყიბულის, ახალციხისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ მუშაობას ატარებენ დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობისათვის.

ტყიბულის საქალაქო და სასოფლო საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მიმდინარე წელს განხილულია საკითხები — ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობასა და რემონტში სავალდებულო შრომითი მონაწილეობის გეგმის შესრულების, საკურორტო და მშრომელთა მასიური დასვენების ადგილებში მისასვლელი გზების კეთილმოწყობის მდგომარეობის, ქალაქისა და მასში შემავალი სასოფლო საბჭოების ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობის შესახებ და სხვა.

მიმდინარე წელს ქ. ტყიბულში კეთილმოწყობილ იქნა სოფლის შიდაგზა 12 კილომეტრზე, შეკეთდა 3 ხიდი. გზებისა და ხიდ-ბოგირების წესრიგში მოყვანის შედეგად გაიხსნა ახალი საავტომობილო სვლაგეზები (ქ. ტყიბული — სოფელი მუხურა, ოჯოლა და სხვ.), საავტომობილო მარშრუტები აკავშირებს ქ. ტყიბულთან ყველა სასოფლო საბჭოს. დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობის საქმეს სათანადო ყურადღებას აქცევენ ამ ქალაქის კურსების, ორპირის, ცუცხვათის და სოჩხეთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ახალციხის რაიონში კეთილმოაწყვეს 19 კილომეტრი გზა, აშენდა ორი, ხოლო კაპიტალურად შეკეთდა ხუთი ხიდი. გზების კეთილმოწყობამ მიმდინარე წელს ხელი შეუწყო ახალი საავტომობილო სვლაგეზების გახსნას სოფლებს: საძელი-ხაკსა და სვირი-ბოგას შორის. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების და ორგანიზაციების უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობის საქმეში. გადაჭარბებით იქნა შესრულებული გზების მშენებლობისა და რემონტის როგორც გასული წლის ისე მიმდინარე წლის 9 თვის გეგმები და მთლიანად ათვისებულია ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხები.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობის საქმე ლენტეხის რაიონშიც. წესრიგში იქნა მოყვანილი 11 კილომეტრი გზა, აშენდა რამდენიმე ხიდი, ხოლო კაპიტალურად შეკეთდა 12. ამ რაიონშიც სოფლების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თვითდაბეგვრის თანხები მთლიანადაა ათვისებული.

ტყიბულისა და ახალციხის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო კონტროლს ახორციელებენ ქალაქების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული დანიშნულების დაწესებულებათა და კომუნალური საწარმოების მშენებლობისადმი.

სათანადო ყურადღება ექცევა დასახლებული ადგილების სანიტარულ მდგომარეობას, გზების და დასახლებული ადგილების გამწვანებას.

ამასთან ერთად ქ. ტყიბულის, ახალციხის და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობის საქმეში აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი.

როგორც ქ. ტყიბულს, ისე ახალციხისა და ლენტეხის რაიონებს არ გააჩნიათ სოფლების კეთილმოწყობისა და განაშენიანების გეგმები, ადგილი აქვს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დარღვევის ფაქტებს.

ქ. ტყიბულში გზების კეთილმოუწყობლობის გამო ბევრ სოფელში, სადაც კომლთა რაოდენობა 300-ზე მეტია, არ არის ავტობუსების სვლაგეზები. საგზაო მშენებლობაში კოლმეურნეობების სავალდებულო შრომითი მონაწილეობის გეგმა მიმდინარე წლის პირველი ნოემბრისათვის მხოლოდ 70 პროცენტითაა შესრულებული. არის კოლმეურნეობები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გზების კეთილმოწყობაში (ჯვარისის, გურნის და ძიროვანის კოლმეურნეობები). ყველგან არ არის შექმნილი საგზაო-საწარმოო ბრიგადები. ასე მაგალითად, 15 კოლმეურნეობიდან საწარმოო-საგზაო ბრიგადები შექმნილია მხოლოდ 3-ში, ხოლო ქალაქში მდებარე 22 ორგანიზაციიდან — 6-ში.

ცუდადაა ქალაქის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისების საქმე; 284,9 ათასი მანეთიდან ცხრა თვეში ათვისებულია 163,4 ათასი (57,3 პროცენტი).

იგივე მდგომარეობაა სოფლების კეთილმოწყობის საქმეშიც. გასულ წელს სოფლების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი 27.358 მანეთიდან ათვისებულ იქნა 8.651 მანეთი (31,8 პროცენტი), ხოლო მიმდინარე წელს 29.441 მანეთიდან — 5.083 მანეთი (17,3 პროცენტი).

ქალაქისა და სოფლების ქუჩების უმრავლესობა კეთილმოუწყობელია, უვარგისია მისასვლელი გზები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმდინარე წელს შვიდჯერ განიხილა გზების კეთილმოწყობის საკითხი, ზოგიერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და ორგანიზაცია მაინც თავს არიდებს საგზაო სამუშაოებში მონაწილეობას (აწყურის, პამაჯის, წყალთბილის საბჭოთა მეურნეობები, ხეოთის კოლმეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვ.). გადაუდებელ შეკეთებას მოითხოვს აწყურის, პამაჯის და კოდის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების შიდაგზები.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია დაბის ქუჩები და სოფლებთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები ლენტეხის რაიონში. ჩიხარეშის გზის უვარგისობის გამო საავტომობილო მოძრაობა ხშირად შეწყვეტილია, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. კოლმეურნეობები და საწარმოები არ ასრულებენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების

მშენებლობაში შრომითი სავალდებულო მონაწილეობის გეგმას. რაიონის კოლმეურნეობიდან და ორგანიზაციიდან შრომითი მონაწილეობის გეგმა არ შეუსრულებია 10 კოლმეურნეობასა და 9 ორგანიზაციას. როგორც რაიონულ ცენტრში, ისე სასოფლო საბჭოში სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარული წესრიგის დაცვას. სუსტად მუშაობს რაიონული საბჭოს კომუნალური მეურნეობისა და საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისია.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო აღნიშნულ რაიონებს სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევს სამშენებლო მასალებითა და ტექნიკით.

დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობაში არსებული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ამ საქმეში საკმარისად არ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობა; ამასთან ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი სათანადო პასუხისმგებლობას არ გრძნობს დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისათვის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ჩაბმის თაობაზე, მიუხედავად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა და არ ახდენენ ამ ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი კეთილმოწყობის თანხების გაერთიანებასა და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ქ. ტყიბულის, ახალციხის და ლენტეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობის საქმე, რეგულარულად შეისწავლონ და სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ ეს საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. ამასთან მკაცრი კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

ბ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობისათვის; ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. რეგულარულად გააშუქონ პრესაში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და უზრუნველყონ ამ დარგში მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება;

გ) სათანადო კონტროლი დააწესონ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისებისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი. უზრუნველყონ სოფლების შიდაგზების კეთილმოწყობა, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა და რემონტი; მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სამშენებლო მასალები და საშუალებანი. კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობის ორგანიზაციის საქმეში;

დ) დასახლებული პუნქტების განაშენიანების გეგმის სრული შესაბამისობით აწარმოონ საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები, მეტი ყურადღება მიაქციონ დასახლებულ ადგილებში სანიტარული წესრიგის დაცვას;

ე) მიიღონ ზომები, რომ ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სამეურნეო ორგანიზაცია დროულად ასრულებდეს საგზაო სამუშაოებს, გათვალისწინებულს „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გზების მოვლა-პატრონობას და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს;

ვ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობით სოფლების კეთილმოწყობისა და განაშენიანების გეგმების შესადგენად. არ დაუშვან უკანონო მშენებლობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს განიხილოს ქ. ტყიბულის, ლენტეხისა და ახალციხის რაიონების გზების მდგომარეობის საკითხი და საერთოდ უფრო მეტად მოამარაგოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ტექნიკითა და სამშენებლო მასალებით, დაეხმაროს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაში.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა დროულად უზრუნველყოს ქალაქებისა და რაიონების განაშენიანების პროექტების შედგენა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს ქალაქების და რაიონების გენერალური გეგმების დამტკიცების დაჩქარების საკითხი.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ღონისძიებანი დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობის საქმის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ამ საქმეში ფართოდ ჩააბან მოსახლეობა, წარმოებები, კოლმეურნეობები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, მეტი ყურადღება მიაქციონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულებას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**212** მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის"**:

1. როსტომ ოღლი **ადილ-ფაშა** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
2. ვანო ხასანის ძე **არძენაძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
3. შალვა დავითის ძე **აფციაური** — მილიციის სერჟანტი.
4. გივი გალაქტიონის ძე **ბარამიძე**—შინაგან სამსახურის პოდპოლკოვნიკი.
5. გურამ იასონის ძე **ბაშარაძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.
6. გიორგი ბენოს ძე **ბექტურაშვილი** — მილიციის სერჟანტი.
7. დიმიტრი გიორგის ძე **ბოლოთაშვილი** — რიგითი მილიციონერი.
8. სერგო პეტრეს ძე **გაბარაევი** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
9. ივანე მარკის ძე **გოლოშვილი** — მილიციის ზემდეგი.
10. ბორის გიორგის ძე **დევაძე** — რიგითი მილიციონერი.
11. ბორის ვარლამის ძე **თეიძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.
12. კონსტანტინე ლონგინოზის ძე **კაპანაძე** — მილიციის ზემდეგი.
13. გურამ ლევანდის ძე **კვიციnია** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
14. სერგო შალვას ძე **კობერიძე** — მილიციის კაპიტანი.
15. მიხეილ გრიგოლის ძე **კურტანიძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.
16. მიხეილ ონისიმეს ძე **ლობჟანიძე** — მილიციის სერჟანტი.
17. ალექსანდრე ხალილის ძე **მგელაძე** — მილიციის სერჟანტი.
18. ამირან თეოფანეს ძე **ნაროუშვილი** — მილიციის მაიორი.
19. შალვა ივანეს ძე **ოქრუაშვილი** — მილიციის სერჟანტი.
20. ნოდარ ივანეს ძე **ქარდავა** — მილიციის სერჟანტი.
21. ლეონტი ანდრიას ძე **შამუგია** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
22. ვახტანგ ნიკოლოზის ძე **შონია** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
23. სულიკო მიხეილის ძე **ცხოვრებოვი** — მილიციის ზემდეგი.
24. თემურ ლიპატის ძე **წულუკიძე** — მილიციის სერჟანტი.
25. ლერი გიორგის ძე **ჭანტურია** — მილიციის ზემდეგი.
26. მიხეილ კოჩიას ძე **ჯოპუა** — მილიციის სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 6 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 213 რესპუბლიკის უძველესი საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის, მათი შრომითი დამსახურების აღიარების ნიშნად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„შრომის ვეტერანი“**:

**თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნიდან:**

საგათელ მარტიროსის ძე **ამბარცუმიანი** — მჭედელი.
არუთინ არაქელის ძე **ანუშიანი** — მეთუნუქე-მრჩილავი.
ვარლამ გრიგოლის ძე **ბეჟუაშვილი** — ელექტროზეინკალი.
ივანე ალექსის ძე **ბიჭიკაშვილი** — ბანდაჟების ამგები.
არჩილ გიორგის ძე **დვალიშვილი** — გამწყობი.
კონსტანტინე მიხეილის ძე **ილურიძე** — მჭედელი.
სულიკო ივანეს ძე **კაციაშვილი** — მტვირთავი.
ივლიანე პეტრეს ძე **მსხალაია** — ელექტროზეინკალი.
ალექსი ათანასეს ძე **სტეფანოვი** — ზეინკალი.
გერასიმე ვლადიმერის ძე **სტურუა** — ავტოკარის მძღოლი.
ვახტანგ ნიკოლოზის ძე **ქართველიშვილი** — მეთუნუქე-მრჩილავი.
ბორის ნიკოლოზის ძე **ჩლაიძე** — მთავარი ტექნოლოგი.

**თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნიდან:**

დავით თომას ძე **გოგოლაძე** — ინჟინერ-კონსტრუქტორი.
შალვა იორდანეს ძე **დოლიძე** — გამწყობი.
იულია იოსების ასული **ზაკსი** — უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი.
თევდორე პროკოფის ძე **ზინჩენკო** — გამწყობი.
კონსტანტინე მაქსიმეს ძე **ნანეტაშვილი** — ელექტროკარის მძღოლი.
გრიგოლ მოსეს ძე **ოვანესიანი** — ინჟინერ-კონსტრუქტორი.
იაკობ რომანის ძე **როდიონოვი** — მძღოლი.
ტიმოთე ალექსანდრეს ძე **სპიცინი** — გამწყობი.
ალექსანდრე ვასილის ძე **ტეტრუევი** — კონსტრუქტორი.
სოკრატე მინას ძე **ტომარაძე** — მთავარი მექანიკოსის მოადგილე.
ვლადიმერ ვარლამის ძე **შაუთიძე** — გამწყობი.
ვარვარა ივანეს ასული **შილო** — ინჟინერ-ტექნოლოგი.
გიორგი ნიკოლოზის ძე **ხოჭოლავა** — მთავარი ტექნოლოგის მოადგილე.
იონა ივანეს ძე **ხუხია** — ზეინკალი.

**თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან:**

ლეონ მირონის ძე **ალანაკიანი** — ინჟინერი.
ნიკოლოზ არკადის ძე **ბოსტანჯევი** — ჩამბარებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ალექსის ძე **ერმოლოვი** — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი.

ნიკოლოზ რაჟდენის ძე **ექვთიმიშვილი** — კადრების განყოფილების უფროსი.

ვალენტინ ნიკოლოზის ძე **კოზლოვსკი** — მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების ყოფილი უფროსი.

ტრიფონ ანტონის ძე **მეტრეველი** — ზეინკალი.

ელენე სიმონის ასული **ნიკოლაიშვილი** — მთავარი ბუღალტერი.

ზოია გიორგის ასული **რიაზანცევა** — უფროსი მემანქანე.

ევდოკია ივანეს ასული **ცაპლინა** — მერევოლვერე.

**თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან:**

ასატურ სარქისის ძე **ავეტისოვი** — ზეინკალი.

ვართან გარეგინის ძე **ამირგულოვი** — ხარატი.

სერგო მელიქის ძე **აკოლაშვილი** — ზეინკალი.

შალვა ილიას ძე **ომანიძე** — ზეინკალი.

მარტინ გიორგის ძე **ოსიპოვი** — კონტროლიორი.

აგაფია სუმბათის ასული **სარიბეკოვა**—კადრების განყოფილების უფროსი.

გიორგი მარტინის ძე **სტეფანოვი** — ზეინკალი.

ნიკოლოზ იასონის ძე **წიქორიძე** — მეყალიბე.

**თბილისის ქარხანა „ცენტროლიტი"-დან:**

დავით ივანეს ძე **დემეტრაშვილი** — საამქროს უფროსი.

ირაკლი ლევანის ძე **ლომიშვილი** — ტექნიკური უსაფრთხოების ბიუროს უფროსი ინჟინერი.

მარო იოსების ასული **ფანოზიშვილი** — უფროსი ოსტატი.

ლიდა ეფიმეს ასული **ჩერნოვა** — ხიდური ამწის მემანქანე.

ირაკლი ალექსანდრეს ძე **ძამაშვილი** — გამომწველი.

**თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებიდან:**

ოლღა დარისპანის ასული **ბენიძე** — მომწყვეტი.

მიხეილ ივანეს ძე **გასიევი** — ზეინკალი.

ვიქტორ იასონის ძე **ყაჭრიშვილი** — საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი.

ელისაბედ მიხეილის ასული **კიკალიშვილი** — მქსოველი.

ვლადიმერ სერგოს ძე **კურაგინი** — ზეინკალი.

ლუკა სანდროს ძე **მალაციძე** — ოსტატის თანაშემწე.

ვალენტინა ესტატეს ასული **მაჭავარიანი** — მომწყვეტი.

მანია მოსეს ასული **მერაბიშვილი** — საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი.

ბაბულია ივანეს ასული **ოდიშელიძე** — ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისაბედ რომანის ასული **სრესელი** — მომწყვეტი.
სერგო ზურაბის ძე **შიუკაშვილი** — ოსტატის თანაშემწე.

**თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველო"-დან:**

ელენე მუსას ასული **ადუაშვილი** — მეფთილე.
რუბენ აბეტის ძე **ავეტისოვი** — ელექტრომონტიორი.
ალექსანდრე ეგიორგის ძე **ვარდანაშვილი** — ზეინკალ-შემკეთებელი.
ნუშა იოსების ასული **თიგიშვილი** — მწმენდავ-მნემსავი.
ტატიანა ლავრენტის ასული **გაბისონია** — მეფთილე.
რუბენ არსენის ძე **კიკვაძე** — ქვეოსტატი.
სიმონ ილარიონის ძე **ლეჟავა** — ქვეოსტატი.
ქსენია ილიას ასული **ნაკაიძე** — მატყლის დამხარისხებელი.
სიმონ ამბარცუმის ძე **სარქისიანი** — ქვეოსტატი.
მარიამ დავითის ასული **ხორგუაშვილი** — გადამხვევი.

**ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკიდან:**

მიხეილ ირაკლის ძე **ბასილაძე** — ქვეოსტატი.
ბიქტორ ბესარიონის ძე **გვენეტაძე** — ქიმიური ხსნარის მომდუღებელი.
ტარასი ივანეს ძე **გვარამაძე** — უფროსი ოსტატი.
ვლადიმერ ნესტორის ძე **გოგელიძე** — უფროსი ოსტატი.
შალვა ირაკლის ძე **გიგატაძე** — ცეცხლფარეში.
ნინო სევერიანეს ასული **კუბლაშვილი** — კადრების უფროსი ინსპექტორი.
ემელიანე გრიგოლის ძე **ლომიძე** — ბრიგადირი.
თამარ ვლადიმერის ასული **ნადირაშვილი** — მთავარი ბუღალტრის მოადგილე.
ანა მიხეილის ასული **პავლიკი** — მქსოველი.
ანა ნიკოლოზის ასული **სვანიძე** — მიმღებ-კონტროლიორი.
ზინა გრიგოლის ასული **ყიფშიძე** — მქსოველი.
გრიგოლ ივანეს ძე **ყიფიანი** — დაზგა-დანადგარების შემკეთებელი.
ტერენტი მელიტონის ძე **შალამბერიძე** — ღვედების გადამკერი.
აგრაფინა ბესარიონის ასული **შვანგირაძე** — მატყლის ჩამტვირთავი.
თინა ილარიონის ასული **ჩხენკელი** — მქსოველი.

**ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებიდან:**

სოფიო იოსების ასული **ბალიაშვილი** — ძაფის ამომღები.
ქსენია ივანესა ასული **ბაქრაძე** — ქსოვის ინსტრუქტორი.
ზინაიდა ბესარიონის ასული **შალამბერიძე** — ძაფის ამომღები.
ნადია პლატონის ასული **წივწივაძე** — ძაფის მხვეველი.
გრიგოლ გრიგოლის ძე **ჯიმშელეიშვილი** — საქსოვი წარმოების ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან:

ბიძინა ბენედიქტეს ძე **არაბიძე** — ორთქლმავლის მემანქანე.
გიორგი სამსონის ძე **ბიბილაშვილი** — ორთქლმავლის მემანქანე.
ბიჭიკო ირაკლის ძე **ბრეგვაძე** — უფროსი მდნობელ-ბრიგადირი.
ილია სამსონის ძე **დანელიაა** — ელექტროლიზის მეაპარატე.
იოსან ერმიგონის ძე **რობაქიძე** — მდნობელი.
რუბენ კირილეს ძე **რობაქიძე** — ბრიგადირი.
მიხეილ ივანეს ძე **რუდენკო** — ბრიგადირი.
გიორგი კონსტანტინეს ძე **სანიკიანი** — მეციცხვე.
თედორე ბიქტორის ძე **სოფრომაძე** — უფროსი გამომწველი.
ალექსანდრე ლუარსაბის ძე **სხილაძე** — ზეინკალი.
ნიკოლოზ ვასილის ძე **ცერცვაძე** — საჩამომსხმელო მანქანის მემანქანე.
ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **წულაია** — ელექტროლიზის მეაპარატე.
ვასილ ლუარსაბის ძე **ხუჯაძე** — უფროსი მდნობელ-ბრიგადირი.
კონსტანტინე ამბაკოს ძე **ჭოლაძე** — უფროსი გამომწველი.

### ჭიათურის მარგანეცის ტრესტიდან:

ფილიმონ ალექსანდრეს ძე **აბრამიშვილი** — უბნის უფროსი.
ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ბურძენიძე** — მადნის მრეცხავი.
ლევან ნიკოლოზის ძე **გაფრინდაშვილი** — გვირაბგამყვანი.
ალექსანდრე ვასილის ძე **გელაშვილი** — მებიგე.
მიხეილ იაკობის ძე **გოგოლაძე** — გვირაბგამყვანი.
მიხეილ გალაქტიონის ძე **დევიძე** — ელექტროზეინკალი.
ბიძინა კონსტანტინეს ძე **მაჭარაშვილი** — მებიგე.
უშანგი ისაიას ძე **მწყერაშვილი** — მებიგე.
ალექსანდრე გრიგოლის ძე **ნადირაძე** — ცვლის უფროსი.
ავთანდილ ანტონის ძე **ნასარიძე** — უბნის უფროსი.
ვასილ კონსტანტინეს ძე **პაპიძე** — გვირაბგამყვანი.
თამარ სერგოს ასული **სამხარაძე** — სალექი მანქანის მემანქანე.
ოლღა მიხეილის ასული **სილაგაძე** — სპექტანსაცმელის მრეცხავი.
გიორგი დავითის ძე **ფარქოსაძე** — მბურღავი.
გრიგოლ ალექსანდრეს ძე **ფხალაძე** — სამტვრეველას მემანქანე.
მიხეილ ლავრენტის ძე **ღუღუნიშვილი** — გვირაბგამყვანი.
ერმალო ილიას ძე **შეყილაძე** — მებიგე.
გრიგოლ ვასილის ძე **შუკაკიძე** — მადნის მრეცხავი.
გერვასი იორდანეს ძე **ცუცქირიძე** — ტრანსპორტის გამგე.
იოსებ ნიკოლოზის ძე **წერეთელი** — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორის მოადგილე.
გოგუცა პართენის ასული **ჭილლაძე** — მადნის მრეცხავი.
მოსე გერასიმეს ძე **ჭუმბურიძე** — გვირაბგამყვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტყიბულის ქვანახშირის შახტებიდან:**

ვასილ დომენტის ძე **აბესაძე** — ელექტროზეინკალი.

გიორგი რაჟდენის ძე **ბრეგაძე** — სამთო მუშა.

დავით რაჟდენის ძე **გოდოძე** — უბნის მებიგე.

ვერა არსენის ასული **კალიხანოვა** — ამწე მანქანის მემანქანე.

დავით ერემიას ძე **კეთილაძე** — მიწისქვეშა უბნის სამთო ნორმადარი.

თევდორე პეტრეს ძე **ნესტერენკო** — მებიგე.

ალექსანდრე არჩილის ძე **ნეფარიძე** — მიწისქვეშა საშახტო ტრანსპორტის ელმავლის მემანქანე.

ბორის გიორგის ძე **ობოლაძე** — ამფეთქებელი.

პოლიკარპე ალფეზის ძე **ქარქაშაძე** — მიწისქვეშა საშახტო ტრანსპორტის ელმავლის მემანქანე.

ნოე სერაპიონის ძე **ქარქაშაძე** — ელექტროზეინკალი.

აპოლი ვასილის ძე **ქასრაშვილი** — ცვლის უფროსი.

გიორგი ანტონის ძე **შიუკაშვილი** — შიდა საშახტო ტრანსპორტის ამწე მანქანის მემანქანე.

შიო არტემის ძე **ჩუბინიძე** — უბნის უფროსი.

ნესტორ პავლეს ძე **ჭელიძე** — ელექტროზეინკალი.

იონა ილიას ძე **ჭიქაბერიძე** — მზურღავი.

**კასპის ცემენტის ქარხნიდან:**

მიხეილ დიმიტრის ძე **ბერიოზოვი** — ცემენტის წისქვილის მემანქანე.

ვლადიმერ იოსების ძე **გიორგობიანი** — მუშა.

ლევან პავლეს ძე **ილურიძე** — მუშა.

მარიამ ეგნატეს ასული **იმედაშვილი** — მუშა.

გარეგინ მიხეილის ძე **შაველაშვილი** — მუშა.

დავით ექვთიმეს ძე **შეშაბერიძე** — მუშა.

მარიამ სერგოს ასული **შეშაბერიძე** — მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 22 ნოემბერი.

[library stamp]

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 214 საპატიო წოდებების „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა“ და „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ მინიჭების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალების „მნათობის“, „საქართველოს ქალისა“ და „დროშის“ ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით **მიენიჭოთ საპატიო წოდებანი:**

**საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა:**

გულნარა ვლადიმერის ასულ **ბახტაძეს** — ჟურნალ „დროშის“ განყოფილების გამგეს.

ლია ვლადიმერის ასულ **კაკაბაძეს** — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:**

მარიამ ილიას ასულ **აგიაშვილს** — ჟურნალ „მნათობის“ უფროს ლიტმუშაკს.

თამარ ლუკას ასულ **ანდღულაძეს** — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგეს.

თენგიზ გიორგის ძე **გოგოლაძეს** — ჟურნალ „დროშის“ პასუხისმგებელ მდივანს.

ლალი დავითის ასულ **კომახიძეს** — ჟურნალ „მნათობის“ კორექტორს.

ქსენია იონას ასულ **მახარაძეს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშას.

ნოდარ დომენტის ძე **რუხაძეს** — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგეს.

დავით ალექსანდრეს ძე **სეფიაშვილს** — ჟურნალ „დროშის“ ტექნიკურ რედაქტორს.

რუსუდან ასკალონის ასულ **ჩაკვეტაძეს** — ჟურნალ „მნათობის“ ტექნიკურ რედაქტორს.

ელენე პეტრეს ასულ **ხიზანიშვილს** — ჟურნალ „მნათობის“ კორექტორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

თბილისი, 1974 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 215 ამხ. ა. ვ. ბარისაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **ბარისაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

თბილისი, 1974 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 216 ამხ. კ. ფ. ბობოხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი კალე ფირანის ძე **ბობოხიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 217 ამხ. ო. ვ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ოთარ ვარლამის ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 5 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 218 ამხ. ო. ი. ლოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ოთარ ილიას ძე **ლოლაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე**.

თბილისი, 1974 წლის 5 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 219 ჟურნალების „მნათობის“, „საქართველოს ქალისა“ და „დროშის“ მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალების „მნათობის“, „საქართველოს ქალისა“ და „დროშის“ ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს ამ გამოცემათა მუშაკების ჯგუფი:

1. შალვა ილიას ძე **ალხაზიშვილი** — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგე.
2. თარხან კონდრატეს ძე **არჩვაძე** — ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტი.
3. მარიკა გერვასის ასული **ბარათაშვილი** — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი.
4. ნანული კვიროსის ასული **ბარათაშვილი** — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ განყოფილების გამგე.
5. ემა გერმანეს ასული **ბუკია** — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ კორექტორი.
6. ოლღა ბიძინას ასული **გიორგობიანი** — ჟურნალ „დროშის“ მდივანი-მემანქანე.
7. ოთარ ივანეს ძე **დემეტრაშვილი** — ჟურნალ „დროშის“ განყოფილების გამგე.
8. ლეილა სოლომონის ასული **დათოშვილი** — ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის გამგე.
9. ნაზი დომენტის ასული **თარგამაძე** — ჟურნალ „მნათობის“ ლიტერატურული თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დავით ვლადიმერის ძე **იაკობაშვილი** — ჟურნალ „საქართველოს ქალის" ფოტოკორესპონდენტი.

11. მირცა ილიას ასული **კალანდაძე** — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორის მოადგილე.

12. ნაზი გიორგის ასული **კილასონია** — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგე.

13. რევაზ აკაკის ძე **მარგიანი** — „ჟურნალ დროშის" რედაქტორი.

14. დინარა მიხეილის ასული **ნოდია** — ჟურნალ „დროშის" მხატვრული რედაქტორი.

15. ალექსანდრე კონდრატეს ძე **სიგუა** — ჟურნალ „დროშის" უფროსი ლიტმუშაკი.

16. რაჩიკ გრიგოლის ძე **სოლომონოვი** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშაკი.

17. მზია გიორგის ასული **შატბერაშვილი** — ჟურნალ „მნათობის" ლიტერატურული თანამშრომელი.

18. ირმა გიორგის ასული **ჩოფიკაშვილი** — ჟურნალ „საქართველოს ქალის" ტექნიკური რედაქტორი.

19. ნანული რაჟდენის ასული **ცაგარეიშვილი** — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგე.

20. ივანე ვლადიმერის ძე **წულუკიძე** — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 29 ნოემბერი.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 ავგისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლით" დააჯილდოვა 225 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ასპინძის | რაიონიდან | 3 |
| ახალციხის | „ | 9 |
| ბოლნისის | „ | 9 |
| ბორჯომის | „ | 5 |
| გეგეჭკორის | „ | 17 |
| გურჯაანის | „ | 3 |
| დუშეთის | „ | 12 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თელავის | " . . . . . . . | 4 |
| თერჯოლის | " . . . . . . . | 6 |
| ლაგოდეხის | " . . . . . . . | 3 |
| ლენტეხის | " . . . . . . . | 9 |
| მესტიის | " . . . . . . . | 27 |
| მცხეთის | " . . . . . . . | 6 |
| ონის | " . . . . . . . | 7 |
| ორჯონიკიძის | " . . . . . . . | 5 |
| საჩხერის | " . . . . . . . | 6 |
| ქარელის | " . . . . . . . | 23 |
| ყვარლის | " . . . . . . . | 13 |
| წალკის | " . . . . . . . | 25 |
| წულუკიძის | " . . . . . . . | 4 |
| წითელწყაროს | " . . . . . . . | 4 |
| ჩხოროწყუს | " . . . . . . . | 11 |
| ხაშურის | " . . . . . . . | 7 |
| ხობის | " . . . . . . . | 7 |